პროექტი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) დანართი 7-ით დამტკიცებული „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესი“ (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილების დანართი)“ .

მუხლი 2.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) დანართი 6-ით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში“ (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილების დანართი) შევიდეს ცვლილება და რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინარსიის მე-12^1 მუხლი:

„მუხლი 12^1. რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის კონკურსის შედეგად დანიშვნის წესი

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლის რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოში კონკურსით დანიშვნისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოში კანდიდატის მოსამართლედ დანიშვნის მიზნით, კენჭისყრა ტარდება სპეციალური ბარათების (ბიულეტენების) მეშვეობით, რომლებზეც აღინიშნება კანდიდატის ვინაობა და კანდიდატის მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებული ყველა რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის დასახელება.

3. თითოეული კენჭისყრის დამთავრებისთანავე ცხადდება კენჭისყრის შედეგი და ფიქსირდება ოქმში. ყოველი შემდგომი კენჭისყრისათვის, კანდიდატისათვის გათვალისწინებულ ბიულეტინში აღარ ფიქსირდება ის ვაკანტური თანამდებობა, რაზედაც კენჭისყრის შედეგად უკვე განმწესდა წინა კანდიდატი.“.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი